

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პერსპექტიული განვითარების სამსახური

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებული სტუ-ს წარმომადგენლობითი
საბჭოს მიერ

8 აპრილი. 2009წ.

პრეამბულა

არსებული რეალიებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტი “ ეროვნული ინოვაციური სისტემის” ჩამოყალიბებაა, ხოლო ამგვარი სისტემა შემქმნელი სუბიექტი კი საუნივერსიტეტო კომპლექსია, რომელიც აინტეგრირებს ქვეყნის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საინოვაციო რესურსებს და საწარმოო ორგანიზაციებთან ერთად წარმოშობს სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსს, რაც მომავალში საქართველოს ეკონომიკის უმძლავრეს მასტაბილიზებელ ფაქტორად უნდა იქცეს.

მუხლი N1

ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსპექტიული განვითარების სამსახური, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, რექტორის დაქვემდებარებაში მყოფ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის “უმაღლესი განათლების შესახებ”, სტუ-ს წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი N2

სტუ-ს პერსპექტიული განვითარების სამსახურმა სტუ-ს პრიორიტეტებისა და წესდების შესაბამისად უნდა განახორციელოს:

2.1 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ტექნიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან არსებული საექსპერტო ცენტრების მუშაობის კოორდინაცია, დაკვეთების მოზიდვისა და შესრულების ხარისხის ამაღლების მიზნით.

2.2 საქართველოს სახელმწიფო ინტერესებით გათვალისწინებული საწარმოო დარგების ამოქმედებისა და განვითარების ხელშეწყობა სტუ-სა და სათანადო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით.

2.3 სტუ-ში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დამუშავებული პროექტების მიხედვით კონკურენტუნარიანი მანქანების, დანადგარების, მოწყობილობების, სამარჯვების და სხვა პროდუქციის სათავე სამრეწველო ნიმუშების დამზადება და სერიული გამოშვების ორგანიზაცია.

2.4 სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტის მიერ შერჩეული პერსპექტიული სამეცნიერო პროექტების წარმოებაში დანერგვის შესაძლებლობების მოძიება.

2.5 საქართველოსა და საზღვარგარეთის ბაზრების, აგრეთვე წარმოების დარგების მოთხოვნათა გათვალისწინებით სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტთან თანამშრომლობა საჭირო პროდუქციის შესაქმნელად, ინოვაციური მაღალტექნოლოგიური პროექტების დაკვეთისა და შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

2.6 სტუ-ს სთან და საინჟინრო პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან არსებული საპროექტო-საკონსტრუქტორო საწარმოო ცენტრების ერთიან საინფორმაციო სისტემაში მოქმედების უზრუნველყოფა, დაკვეთების მრავალფეროვნებისა და მოცულობის გაზრდის მიზნით.

2.7 მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური საექსპერტო, დიაგნოსტიკური, საკონსულტაციო და სააუდიტორო საქმიანობის ხელშეწყობა და ორგანიზაცია სტუ-სა და შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინტელექტუალურ პოტენციალზე და ტექნიკურ ბაზებზე დაყრდნობით.

2.8 სტუ-ს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკებისა და ლაბორატორიული მუშაობის ორგანიზება ფაკულტეტების შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ტექნიკურ ბაზებზე ამ ინსტიტუტების საქმიანობაში და წარმოებაში სტუდენტთა უშუალო მონაწილეობით.

2.9 ინოვაციური პროექტების, კონსტრუქციების, მოწყობილობების, დანადგარების და სხვა პროდუქციის პრეზენტაციების მოწყობა ფიზიკური პირების, ბიზნესმენების, წარმოების ხელმძღვანელების და სხვა სუბიექტების დაინტერესების მიზნით.

2.10 სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული სატენდერო პროგრამებისა და პროცესების მონიტორინგი, ანალიზი სტუ-ს შესაძლო მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

2.11 სტუ-ს საინოვაციო-სამეცნიერო-სასწავლო-საწარმოო კომპლექსად გარდაქმნის ღონისძიებების დაგეგმვა-მონიტორინგი.

2.12 სტუ-ს კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, საცდელი წარმოებების სისტემური ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

2.13 ტექნიკური ბაზის პერსპექტიული განვითარების, მშენებლობის და რეკონსტრუქციის ხელშეწყობ ღონისძიებათა ორგანიზება და წარმართვა.

მუხლი N3

სამსახურის სტრუქტურა და უფლებამოსილება

3.1 სამსახურის სტრუქტურა თან ერთვის დებულებას და წარმოდგენს მის შემადგენელ ნაწილს.

3.2 სტუ-ს პერსპექტიული განვითარების სამსახურს წარმოადგენს მისი უფროსი.

3.3 სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს სამსახურის საქმიანობას, თანმშრომელთა მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს ხარისხიან, დროულ და სრული მოცულობით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

3.4 თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ორგანიზაციებისაგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან საკუთარი საქმიანობისათვის საჭირო კანონმდებლობით ნებადართული ინფორმაცია.

3.5 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სტუ-ს წესდებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებასაც.

3.6 სტუ-ს რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით სამსახურს აქვს უგერბო ბეჭედი და ბლანკი.

3.7 დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.